

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლების N65

16 თებელვალი 2018 წელი

14 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ივანე მამფორია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

2.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს წარმოუდგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა რჩება უცვლელი, ხოლო გადასახდელების ნაწილში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები. ცვლილებები დანართის სახის თან ერთვის.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით კომისიის მხრიდან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტის:

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში .

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად
/დანართი N 2/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოწონებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე